წაკითხულის გააზრება და ანალიტიკური წერა

დღეს გამოცდა ჩატარდება წაკითხულის გააზრებასა და ანალიტიკურ წერაში.

1. **წაკითხულის გააზრების** ნაწილი შედგება სამი ტექსტისა და 21 ტესტური დავალებისაგან.
   ტესტის ამ ნაწილის მაქსიმალური ქულაა 21.

სწორი პასუხის გაცემისათვის იწერება 1 ქულა.
თუ არცერთი პასუხი არ არის მონიშნული, იწერება 0 ქულა.
არასწორი პასუხისათვის აკლდება 0,2 ქულა (ანუ იწერება -0,2 ქულა).
ტესტის ამ ნაწილის შესასრულებლად გეძლევათ 1 საათი და 15 წუთი.

2. **ანალიტიკური წერის** ნაწილი შედგება ორი დავალებისაგან.
   ტესტის ამ ნაწილის მაქსიმალური ქულაა 18.
   თითოეული დავალების მაქსიმალური ქულაა 9.
   ტესტის ამ ნაწილის შესასრულებლად გეძლევათ 1 საათი და 10 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!

წაკითხულის გააზრება

I ვარიანტი

21 შეკითხვა

დრო – 1 სთ 15 წთ

ტექსტი №1

I თანამედროვე ისტორიოგრაფიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა ისტორიისა და მეხსიერების ურთიერთკავშირის კვლევა. ამ საკითხისადმი განსაკუთრებული ინტერესი XX საუკუნის ბოლო მეოთხედში გამოიკვეთა, როდესაც სამეცნიერო წრეებსა და დარგობრივ ლიტერატურაში აქტიურად დაიწყეს მეხსიერების, როგორც სოციალური მოვლენისა და საზოგადოების თვითრეცეფციის მაფორმირებელი ფენომენის განხილვა. ამ დისკუსიის საკვანძო შეკითხვაა, რამდენად არსებობს ობიექტური ისტორია, ხომ არ არის თავად ისტორია კოლექტიური მეხსიერების სპეციფიკური ფორმა?

II საქმე ისაა, რომ ისტორიკოსების მიერ აღწერილი და გადმოცემული წარსული ყოველთვის გარკვეულ ინტერპრეტაციას წარმოადგენს. წარსულის გადმოცემისას ისინი ყოველთვის აკეთებენ არჩევანს შესაძლო ვარიანტებს, ალტერნატივებს შორის, მოვლენებს კერძო პერსპექტივისა და საკუთარი ცოდნის საფუძველზე აფასებენ და აღწერენ, რაც პრინციპულად გამორიცხავს წარსულის აბსოლუტურად ობიექტურ რეკონსტრუქციას. ადამიანების ერთი გარკვეული წრეც კი სხვადასხვაგვარად იხსენებს და აფასებს სულ ცოტა ხნის წინ ერთად განცდილ მოვლენას, ამიტომ გასაკვირი არაა, რომ მკვლევრებს უჭირთ წარსულის ობიექტური სურათის წარმოჩენა. ისიც გულუბრყვილობა იქნებოდა, გვეფიქრა, თითქოს ჩვენამდე მოღწეული საისტორიო წყაროები და არტეფაქტები უტყუარად და ობიექტურად გადმოგვცემდეს გარდასულ მოვლენებს. ისინიც გარკვეულ კულტურულ კონტექსტშია შექმნილი და, შესაბამისად, წარსულს გარკვეულ პრიზმაში წარმოაჩენს.

III მიმდინარე დისკუსიის ფარგლებში არსებითია ის მიდგომა, რომლის მიხედვით, ისტორია არის არა ის, რაც მართლაც მოხდა, არამედ ის, რა და როგორ ახსოვთ. ეს ითქმის არა მხოლოდ ინდივიდზე, არამედ გაცილებით ვრცელ ჯგუფებზეც, მაგალითად, მთელ ერებზე. არცერთი ქვეყნის, არცერთი ერის ისტორია არ არის სრულიად ობიექტურად აღწერილი და მოწოდებული; ერის ისტორია არის მხოლოდ ის, თუ რას და როგორ იხსენებენ ამ ერის წარმომადგენლები. ერის წევრთა საერთო მოგონებები განსაზღვრავს მათ წარმოდგენას საკუთარი ქვეყნის ისტორიაზე, საერთო წარსულზე, მათი ერთობის საფუძველზე.

ტექსტის გაგრძელება ->

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21

IV საერთო წარსულის აღქმა და მოგონება ინდივიდებს ერთიანობის განცდას უჩენს, ერთ ჯგუფად აქცევს. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ ერის თვითმყოფადობა დიდწილად დამოკიდებულია ერის წევრების საერთო მეხსიერებაზე, იმაზე, რა და როგორ ახსოვთ მათ და რაც მათ სხვა ერებისაგან გამოარჩევს. სხვადასხვა სახის არტეფაქტები, ტექსტები, მათ შორის რელიგიური ტექსტები, დიდწილად განსაზღვრავს ბევრი ერის თვითმყოფადობას, განსაზღვრავს ამა თუ იმ ერის მაფორმირებელი მეხსიერების, საერთო წარსულის შინაარსს. შესაბამისად, საერთო წარსულის დავიწყება და უგულებელყოფა ჯგუფის გაქრობის ტოლფასია.

V იმ საკითხის გასარკვევად, თუ როგორ ვამუშავებთ და როგორ ვიხსენებთ ისტორიას, რა გავლენას ახდენს ის ჩვენს აზროვნებასა და ქმედებებზე, მნიშვნელოვანია კოლექტიური მეხსიერების გააზრება კულტურულ კონტექსტში, რომლის ფარგლებშიც ხდება მისი ჩამოყალიბება. არსებითია იმის გარკვევა, თუ რა გავლენას ახდენს კულტურა ისტორიის რეცეფციაზე, იმ შინაარსზე, რომელიც მომდევნო თაობებს ისტორიის სახით გადაეცემათ. საჭიროა მეხსიერების კულტუროლოგიური თეორიის საფუძვლების წარმოჩენა, ისტორიისა და მეხსიერების განხილვა კულტურასთან მიმართებით.

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21

1. **რა არის ავტორის მთავარი მიზანი?**

(ა) წარმოაჩინოს ცალკეული ერის კოლექტიური მეხსიერების როლი ისტორიული სინამდვილის ობიექტურ რეკონსტრუქციაში.

(ბ) გამოკვეთოს კოლექტიური მეხსიერების როლი ერის თვითდამკვიდრების პროცესში.

(გ) გამოკვეთოს ისტორიის რეკონსტრუქციაში კოლექტიური მეხსიერების უპირატესი მნიშვნელობა ინდივიდუალურ მეხსიერებასთან შედარებით.

(დ) გამოკვეთოს კოლექტიური მეხსიერების როლი ერების თვითმყოფადობის შენარჩუნებაში.

(ე) ხაზი გაუსვას კოლექტიური მეხსიერების მნიშვნელობასა და როლს ისტორიული წარსულის შინაარსის ფორმირებაში.

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21

2. ჩამოთვლილთაგან რომელი <u>არ დასტურდება</u> ტექსტში?

(ა) საისტორიო არტეფაქტები და წყაროები უტყუარ ინფორმაციას იძლევა ამა თუ იმ ერის ისტორიის შესახებ.

(ბ) ერთი ჯგუფის წევრები ზოგჯერ სხვადასხვაგვარად აღიქვამენ ცოტა ხნის წინ მომხდარ მოვლენას.

(გ) ისტორიის ობიექტური სურათის შექმნაში ხელისშემშლელი ფაქტორია მოვლენების სუბიექტური აღქმის ფენომენი.

(დ) ისტორიის ობიექტური სურათის შექმნაში მნიშვნელოვანია იმ კულტურული კონტექსტის შესწავლა, რომლის წიაღშიც ხდებოდა მისი ჩამოყალიბება.

(ე) ისტორიის ობიექტური სურათის წარმოჩენა დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული.

3. *Zachor! (გახსოვდეს!) – თორას, ებრაელთა კანონების უძველესი წიგნის, ამ მოწოდებამ ხელი შეუწყო ებრაელებს, ხელახლა დაეარსებინათ საკუთარი სახელმწიფო.*

ტექსტის მიხედვით, ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ყველაზე მეტად რომელი ასახავს ამ გამონათქვამის მთავარ აზრს?

(ა) ებრაელები მუდამ მიისწრაფოდნენ საკუთარი სახელმწიფოს დაარსებისაკენ.

(ბ) თორა, ებრაელთა კანონების უძველესი წიგნი, მნიშვნელოვან მოწოდებებსა და შეგონებებს შეიცავს.

(გ) ებრაელებმა კარგად იცოდნენ, რომ ერის თვითმყოფადობა დამოკიდებულია უძველესი კანონების დაცვასა და აღსრულებაზე.

(დ) თორა – ებრაელთათვის კოლექტიური მეხსიერების შენარჩუნების თვალსაჩინო საშუალება – დაეხმარა მათ მსოფლიოში საკუთარი ადგილის დამკვიდრებაში.

(ე) ებრაელები კანონების უძველეს წიგნს, თორას, სახელმძღვანელოდ იყენებდნენ ახალი სახელმწიფოს შენებისას.

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21

4. რა თანამიმდევრობით არის განხილული ტექსტში შემდეგი საკითხები?

A. ობიექტურ რეალობასთან მისაახლოებლად მნიშვნელოვანია ისტორიისა და მეხსიერების კვლევა კულტუროლოგიურ კონტექსტში.

B. ერის თვითმყოფადობა დიდად არის დამოკიდებული კოლექტიურ მეხსიერებაზე.

C. წარსულის აღწერა დიდწილად დამოკიდებულია კოლექტიურ მეხსიერებაზე, ამიტომაც ეს აღწერა ყოველთვის ობიექტური არ არის.

(ა) C, B, A.

(ბ) A, B, C.

(გ) C, A, B.

(დ) B, C, A.

(ე) A, C, B.

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21

5. *უძველესი ეგვიპტური წყაროების მიხედვით, ეგვიპტელი ფარაონები მედიატორების როლს ასრულებდნენ ღმერთებსა და ადამიანებს შორის; ძველი ბერძენი ისტორიკოსისა და ბიოგრაფის – პლუტარქეს მიხედვით, ალექსანდრე მაკედონელის წინაპარი მამრობითი ხაზით ბერძნული მითოსური გმირი – ჰერაკლე იყო.*

რომელ აბზაცს შეავსებდა ყველაზე უკეთ ეს მაგალითები?

(ა) I-ს

(ბ) II-ს

(გ) III-ს

(დ) IV-ს

(ე) V-ს

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21

6. *ჯგუფებს საკუთარი ერთიანობისა და თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად აქვთ საკუთარი უნიკალურობის გამომხატველი სიმბოლოები, მოგონებები – საერთო ადათები, ღირებულებები, ლიტერატურა, არტეფაქტები. ერთიანობის იდეა ხშირად გადმოიცემა დროშითა და ჰიმნით, ასევე ჩაცმულობით, სუფრის წარმართვის წესებით და სხვ.*

რომელ აბზაცს შეავსებდა ყველაზე უკეთ ეს პასაჟი?

(ა) I-ს

(ბ) II-ს

(გ) III-ს

(დ) IV-ს

(ე) V-ს

7. **ტექსტის ბოლო აბზაცში:**

(ა) წარმოდგენილია წინა აბზაცში წამოჭრილი საკითხის განსხვავებული ინტერპრეტაცია.

(ბ) დამატებითი არგუმენტებით გავრცობილია წინა აბზაცში მოყვანილი მსჯელობა.

(გ) წარმოდგენილია დასკვნა ტექსტში განხილული მთავარი საკითხის შესახებ.

(დ) წარმოდგენილია მაგალითი ტექსტში განხილული ძირითადი საკითხის საილუსტრაციოდ.

(ე) კრიტიკულად არის შეფასებული ტექსტში განხილული ძირითადი საკითხი.

ტექსტი №2

შვეიცარიელი ფსიქოლოგის – ჟან პიაჟეს კოგნიტური განვითარების თეორიის მიხედვით, ადამიანის განვითარება, მისი მომწიფება გენეტიკურად არის განპირობებული. შესაბამისად, ინდივიდის გონებრივი განვითარებაც, რომელსაც სათანადო კოგნიტური სტრუქტურების ჩამოყალიბება განაპირობებს, დამოკიდებულია ინდივიდის ასაკზე: 4-5 წლის ბავშვებს არ შეუძლიათ ისე იაზროვნონ, როგორც 6-7 წლის ბავშვებს, რომლებიც, თავის მხრივ, განსხვავებულად აზროვნებენ, ვიდრე მათზე უფროსი, 12-13 წლის მოზარდები. კოგნიტური განვითარება გულისხმობს თანმიმდევრულ გადასვლას განვითარების ერთი სტადიიდან მეორეზე, თანაც სავარაუდოა, რომ გამიზნული ტრენინგით ამ პროცესის დაჩქარება ნაკლებად არის შესაძლებელი. გარდა ამისა, ერთი საფეხურიდან მეორეზე გადასვლის **გენეტიკური მზაობა** არის მხოლოდ და მხოლოდ შესაძლებლობა და არა აუცილებლობა; იმისათვის, რომ ეს შესაძლებლობა რეალობად იქცეს, საჭიროა, ბავშვს **გარემო პირობებმაც** შეუწყოს ხელი. გარემო პირობებმა ბავშვს გარკვეული ბიძგი უნდა მისცეს, გააღვივოს მისი ცნობისმოყვარეობა, რათა ის აქტიურად ჩაერთოს თავისი ასაკის შესაბამისი ამოცანების დაძლევაში.

პიაჟე ბავშვის კოგნიტური განვითარების პროცესში ხაზს უსვამდა **სოციალური ფაქტორების** მნიშვნელობას. სოციალური ინტერაქციის შედეგად ბავშვი სწავლობს ობიექტების სახელებს, მათთან მოპყრობის წესებს, მათ თვისებებს. უფროსებთან და თანატოლებთან სოციალური ურთიერთობების გარეშე ამგვარი ცოდნის შეძენა პრაქტიკულად გამორიცხულია.

60-იანი წლებიდან მოყოლებული, ადამიანის გონებაში მიმდინარე პროცესების აღსაწერად ხშირად მიმართავდნენ კომპიუტერის მეტაფორას და ადამიანის გონებას გამომთვლელ მანქანას ადარებდნენ. პიაჟეს მოდელში, ისევე როგორც კომპიუტერის შემთხვევაში, რომელშიც შესაძლებელია საწყის სისტემებზე დაინსტალირდეს და გაიშვას სხვა სულ უფრო რთული პროგრამები, ბავშვის თანდაყოლილ საბაზო რეფლექსებსა და ინსტინქტებზე აიგება მთელი მისი მომდევნო ცოდნა და უნარები.

პიაჟეს მიხედვით, ბავშვის განვითარების პროცესს საფუძვლად გარემოსთან ადაპტაციის აუცილებლობა უდევს: გადარჩენის ერთგვარი ინსტინქტი, რომელიც, თავის მხრივ, ორ პროცესს აერთიანებს – ასიმილაციასა და აკომოდაციას.

ტექსტის გაგრძელება ->

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21

ასიმილაცია აღნიშნავს ორგანიზმის მიერ ახალ ვითარებებზე რეაგირებას თანდაყოლილი ან უკვე შეძენილი აქტივობებით ან ცოდნით. ასიმილაციის დროს ყოველი ახალი ინფორმაცია (გამოცდილება) გადამუშავდება იმ სახით, რომ მოერგოს უკვე ათვისებულ ცოდნას, ე. წ. **კოგნიტურ სქემებს**. პიაჟეს აზრით, ახალი ცოდნის ასიმილირება ეფუძნება უკვე არსებული ცოდნის ელემენტს, სქემას, რომელიც, წარმოადგენს ინფორმაციის მიღებისა და გარდაქმნის, შემეცნების სისტემას. სქემის არსებობა იძლევა სწავლის გაგრძელების, ახალი ცოდნის დაშენების შესაძლებლობას. მაგ., თუკი ბავშვს აქვს მიმატების სქემა, მას შეუძლია დაძლიოს ისეთი ამოცანები, როგორიცაა 2+1, 2+2 და ა. შ. ასევე, ძუძუს წოვის ინსტინქტზე დაყრდნობით, ბავშვი იოლად ითვისებს საწოვარა ბოთლიდან საკვების მიღების ქცევას. ორივე შემთხვევაში წოვის სქემა მსგავსად მუშაობს. თუმცა, არსებული სქემები ყოველთვის საკმარისი არ არის ახალ ვითარებასთან გასამკლავებლად. ასეთ დროს ბავშვი იძულებულია, უგულებელყოს ახალი ვითარება, ხოლო, როცა ეს შეუძლებელია, ახალი სქემა, ცოდნის ახალი „ულუფა მიიღოს“. მაგალითად, საკვების საწოვარით მიღებიდან კოვზით მიღებაზე გადასვლისას ჭამის პროცესი იმდენად იცვლება, რომ შეუძლებელია ახალი ვითარების ძველ სქემაში ინტეგრირება; ბავშვი იძულებულია, შეიმუშაოს ქცევის ახალი მოდელი. ამ პროცესს აკომოდაცია ეწოდება.

აკომოდაციის პროცესი ასიმილაციისგან დამოუკიდებლად ძნელად წარმოსადგენია, ისინი არა ურთიერთგამომრიცხავი, არამედ ურთიერთშემავსებელი პროცესებია. თუ ასიმილაციის დროს ინდივიდი ახალ ინფორმაციას არგებს უკვე არსებულ სქემას, აკომოდაციის დროს ინდივიდი ცვლის ძველს და ქმნის ახალ სქემას.

დასწავლა ასიმილაციისა და აკომოდაციის პროცესებს ეყრდნობა. ყოველი ახალი გამოცდილება, ახალ ვითარებასთან გამკლავება ორივე ამ პროცესის გააქტიურებას მოითხოვს; როდესაც ასიმილაცია ჭარბობს, ახლის სწავლა არ ხდება, ამ შემთხვევაში, ახალი გამოცდილება ამყარებს უკვე არსებულ სქემას; ხოლო, როდესაც აკომოდაცია ჭარბობს, ნაცნობი ქცევა ირღვევა და ინდივიდი იძულებულია, ახალი სქემა შეიმუშაოს, ახალი ცოდნა შეიძინოს.

ასიმილაცია და აკომოდაცია თვალსაჩინოდ ვლინდება ბავშვის ქცევის ორ ისეთ ფუნდამენტურ ფორმაში, როგორიცაა **თამაში** და **იმიტაცია.** თამაშისას ბავშვის ქცევაში ასიმილაცია ჭარბობს, იმიტაციისას – აკომოდაცია. პიაჟეს აზრით, თამაშის დროს მრავალგზის განმეორებითი აქტივობა ემსახურება სქემის სტაბილიზებას, რაც შემდგომი დასწავლის საფუძველია. იმიტაციის დროს კი ბავშვები ბაძავენ სხვას, ცვლიან თავის ჩვეულ ქცევას, რათა დაემსგავსონ იმათ, ვინც თვითონ არ არიან. პიაჟეს მიაჩნდა, რომ იმიტაციის პროცესი ბავშვების ქცევის რეპერტუარის გამდიდრებას უწყობს ხელს.

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21

8. რა არის ავტორის მთავარი მიზანი?

(ა) აღწეროს ადამიანის კოგნიტური განვითარების ბიოლოგიური საფუძვლები პიაჟეს თეორიის მიხედვით.

(ბ) გაგვაცნოს პიაჟეს თეორიაში კოგნიტური განვითარების ფაქტორები და დასწავლის მექანიზმი.

(გ) გამოკვეთოს და გააანალიზოს კოგნიტური განვითარების ასაკობრივი სტადიები პიაჟეს თეორიაში.

(დ) წარმოაჩინოს ბავშვის განვითარებაში გარემო ფაქტორებისა და სოციალური ურთიერთობების მნიშვნელობა პიაჟეს თეორიის მიხედვით.

(ე) წარმოაჩინოს პიაჟეს თეორიის მნიშვნელობა ადამიანის კოგნიტური განვითარების გააზრებისათვის.

9. ჩამოთვლილთაგან რომელი <u>არ გამომდინარეობს</u> ტექსტიდან?

პიაჟეს აზრით,

(ა) კოგნიტური განვითარება რამდენიმე ფაქტორს უკავშირდება: ბიოლოგიურ პროცესებს, ცოდნის აქტიურ დაუფლებასა და სოციალურ ინტერაქციას.

(ბ) ინტერაქციის ეფექტი ვლინდება არა მხოლოდ ბავშვსა და უფროსს შორის კომუნიკაციის, არამედ თანატოლებს შორის ურთიერთობის შედეგადაც.

(გ) ბავშვის კოგნიტური განვითარება ბიოლოგიური მომწიფების კვალდაკვალ მიმდინარეობს, ის გენეტიკურად განპირობებული პროცესია.

(დ) გამიზნული ტრენინგით შესაძლებელია კოგნიტური განვითარების მნიშვნელოვნად დაჩქარება.

(ე) კოგნიტური განვითარება ათვისებული ცოდნის საფუძველზე ახალი ცოდნის შეძენას გულისხმობს.

10. *წლინახევრის სოფოს აქვს სათამაშო დათვი. მან იცის, რომ ამ დათვს „დათი“ ჰქვია. სოფოს აჩუქეს ახალი სათამაშო, ისეთივე რბილი და ფუმფულა, იმავე ზომის, როგორიც დათვია, ოღონდ ეს არის ციყვი. სოფომ ახალ სათამაშოსაც „დათი“ დაარქვა.*

ტექსტის მიხედვით, წარმოდგენილი მაგალითი ყველაზე მეტად გამოდგება:

(ა) აკომოდაციის ცნების გასააზრებლად.

(ბ) იმიტაციის პროცესის გასაანალიზებლად.

(გ) ასიმილაციის ცნების გასააზრებლად.

(დ) თამაშის პროცესის გასაანალიზებლად.

(ე) სოციალური ფაქტორების როლის წარმოსაჩენად.

11. ტექსტში კომპიუტერის მეტაფორა მოყვანილია იმის საჩვენებლად, რომ:

(ა) კომპიუტერის ანალოგიურად, ბავშვის განვითარება თანდაყოლილ რეფლექსებსა და ინსტინქტებზე დაყრდნობით კოგნიტური სქემების გართულების გზით ხდება.

(ბ) პიაჟეს კოგნიტური განვითარების თეორია, 1960-იან წლებში შექმნილი ფსიქოლოგიური მოდელების მსგავსად, კომპიუტერის მეტაფორას იყენებს.

(გ) ადამიანის გონება კომპიუტერის ანალოგიურად თანმიმდევრულად და საფეხურებრივად გადაამუშავებს გარედან მიღებულ ინფორმაციას.

(დ) პიაჟეს თეორია ადამიანის გონებაში მიმდინარე კოგნიტური პროცესების აღსაწერად და ასახსნელადაა შექმნილი.

(ე) დიდი განსხვავებაა ადამიანის მიერ ინფორმაციის გადამუშავების პროცესებსა და გამომთვლელი მანქანების მუშაობას შორის.

12. ტექსტის მიხედვით, როდის აქტიურდება აკომოდაციის პროცესი?

(ა) როდესაც ახალი გამოცდილება ერგება ძველ, უკვე არსებულ კოგნიტურ სქემას და ამყარებს მას.

(ბ) როდესაც ინდივიდი არ იღებს და უგულებელყოფს ახალ ინფორმაციას.

(გ) როდესაც სათანადო კოგნიტური სქემების ჩამოყალიბება დასრულებულია.

(დ) როდესაც ინდივიდი იძულებულია, შეცვალოს არსებული, ძველი და შექმნას ახალი კოგნიტური სქემა.

(ე) როდესაც გარემო პირობები ბავშვს აქტიური თამაშისაკენ უბიძგებს.

13. ჩამოთვლილთაგან რომელია მართებული ტექსტის მიხედვით?

(ა) ასიმილაცია და აკომოდაცია განსხვავებული, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მიმდინარე პროცესებია.

(ბ) დასწავლისათვის ასიმილაციური პროცესი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე აკომოდაცია.

(გ) ასიმილაცია და აკომოდაცია თანაბრად მნიშვნელოვანი პროცესებია იმიტაციისას.

(დ) ასიმილაცია თამაშისა და იმიტაციის დროს ვლინდება, აკომოდაცია კი მხოლოდ დასწავლისას.

(ე) თამაშის დროს ასიმილაცია, როგორც წესი, სჭარბობს აკომოდაციას.

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21

14. ტექსტის ბოლო აბზაცში:

(ა) შეფასებულია ტექსტში განხილული მთავარი საკითხი.

(ბ) წარმოდგენილია წინა აბზაცში განხილული საკითხის კიდევ ერთი ასპექტი.

(გ) მოყვანილია არგუმენტი ტექსტში დასმული ძირითადი საკითხის გასამყარებლად.

(დ) წარმოდგენილია დასკვნა, რომელიც ემყარება ტექსტში განხილულ მაგალითებს.

(ე) კრიტიკულად არის შეფასებული ტექსტში განხილული ძირითადი საკითხი.

ტექსტი №3

ციფრული ტექნოლოგიების ინტენსიურმა განვითარებამ და ინტერნეტზე ხელმისაწვდომობამ მსოფლიოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ციფრული მედიაპროდუქტის მომხმარებლად აქცია. 21-ე საუკუნე მულტიმედიური ინფორმაციის ეპოქას წარმოადგენს. თანამედროვე ადამიანი ყოველდღიურად იღებს დიდი მოცულობის მრავალფეროვან გზავნილებს სხვადასხვა მედიაწყაროდან: ტელევიზია, რადიო, რეკლამა, ინტერნეტი, სოციალური ქსელები და სხვა, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მის პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ თუ კულტურულ აქტივობაზე. ორგანიზაციის DataReportal მონაცემებით, 2024 წელს ინტერნეტმომხმარებელთა რაოდენობამ მსოფლიოს მოსახლეობის 66% შეადგინა.

დღეს ინტერნეტპლატფორმების, ნამდვილი თუ ყალბი ვებგვერდების გამოყენებით რიგით ადამიანსაც შეუძლია მისთვის სასურველი ინფორმაციის ფართოდ გავრცელება, მაგრამ ინფორმაციის მასობრივი გავრცელების სუბიექტს, ინსტრუმენტს მედია წარმოადგენს. ექსპერტთა ნაწილის მოსაზრებით, მედიაორგანიზაციების მნიშვნელოვანი ნაწილი მიკერძოებულია, რადგან ისინი მფლობელთა თუ დამფინანსებელთა პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სხვა ინტერესების გამტარებლები არიან და მათი მედიაპროდუქტი ორიენტირებულია გარკვეული განწყობის, საზოგადოებრივი აზრის შექმნაზე ამა თუ იმ საკითხის ან მოვლენის მიმართ.

ინტერნეტმა და სოციალურმა ქსელებმა მნიშვნელოვნად შეცვალა კაცობრიობის ცხოვრება, მაგრამ რამდენად სასარგებლო ან საზიანოა ეს ადამიანისათვის, დისკუსიის საკითხს წარმოადგენს. მასმედიის გავლენის ობიექტი და „მსხვერპლი“ შეიძლება გახდეს ნებისმიერი ადამიანი; მრავალფეროვანი და არასანდო საინფორმაციო ნაკადის მიმართ ყველა სოციალური ჯგუფი თავისებურად მოწყვლადია, თუმცა უფროსი თაობა გამოირჩევა მედიის, განსაკუთრებით ტელევიზიის მიმართ ნდობის უფრო მაღალი ხარისხით და ამიტომ უფრო ადვილად შეიძლება გახდეს მანიპულაციის ობიექტი. ვინაიდან ახალგაზრდები ციფრული მედიის ყველაზე აქტიური მომხმარებლები არიან და მათი მანიპულირებით მნიშვნელოვანი პოლიტიკური და სოციალური შედეგების მიღწევაა შესაძლებელი, დეზინფორმაციული კამპანიების სამიზნე ხშირად ისინი ხდებიან. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდებს მეტად აქვთ განვითარებული ტექნოლოგიების გამოყენების, ინფორმაციის მოძიებისა და კრიტიკულად გააზრების, ასევე, წყაროების გადამოწმების უნარები. შესაბამისად, მათ დეზინფორმაციასთან გამკლავების პოტენციალიც მეტი აქვთ.

ტექსტის გაგრძელება ->

ყოველდღიურად ინტენსიურად იზრდება ხელოვნური ინტელექტის – AI (Artificial Intelligence) გამოყენება ადამიანის საქმიანობის მრავალ სფეროში. მიუხედავად იმისა, რომ მომხმარებელთა ნაწილი პოზიტიურად აფასებს ხელოვნური ინტელექტის გამოყენების პერსპექტივებს, ექსპერტების შეშფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ AI მედიაპროდუქტს ძალიან სწრაფად ქმნის და ხშირად შეუძლებელია მისი განსხვავება ადამიანის მიერ შექმნილი შინაარსებისაგან. შესაბამისად, AI-ის დახმარებით შექმნილი ყალბი მედიაპროდუქტი, ცრუ ინფორმაცია, გამიზნულად თუ უნებლიედ შეიძლება გახდეს მანიპულაციის იარაღი ან დეზინფორმაციის წყარო.

ციფრული მედიისა და ვირტუალური ქსელების აქტიური მოხმარება გავლენას ახდენს ადამიანის მენტალურ და ფიზიკურ ჯანმრთელობაზეც. ციფრულ მედიაზე მიჯაჭვულობა, გადამეტებული ინტერნეტდამოკიდებულება, ფაქტობრივად რეალობისაგან მოწყვეტა, დღეს უკვე მიჩნეულია ადიქციის, ფსიქიკური აშლილობის ერთ-ერთ ფორმად – IAD (Internet Addiction Disorder). ამერიკელი მკვლევრების, ჰოფმანისა და მილერის, 2024 წლის კვლევის მონაცემებით, სოციალურ ქსელებზე ადიქციის ასაკობრივი სტატისტიკა ასეთია: 18-22 წლის – 40%, 23-38 წლის – 37%, 39-54 წლის – 26% და 55-64 წლის – 21%.

აღნიშნული პრობლემებიდან გამომდინარე, ადამიანს სჭირდება გარკვეული უნარები და ცოდნა ჭარბი, მრავალფეროვანი ინფორმაციის ნაკადში დეზინფორმაციისა თუ მანიპულაციისაგან თავის დასაცავად. ასეთი ცოდნისა და უნარების ნაკრებს სპეციალისტები **მედიაწიგნიერებას** უწოდებენ. მედიაწიგნიერება წარმოადგენს მედიაინფორმაციის ნაკადში ორიენტირების, მისი წვდომის, კრიტიკულად გააზრებისა და ეფექტიანად გამოყენების უნარს. ადამიანი მედიაგანათლების გზით იძენს ისეთ გამოცდილებასა და ცოდნას, რომლის საშუალებითაც თავს იცავს საზიანო ან ყალბი ინფორმაციისაგან, არ აძლევს მედიაწყაროებს საშუალებას, მართონ მისი ცნობიერება და ქცევა. სწორედ ამიტომ, მედიაწიგნიერების უნარების განვითარებას მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა დაეთმოს სასკოლო და საუნივერსიტეტო განათლების პროცესში.

მედიაწიგნიერების დონის დასადგენად იყენებენ **მედიაწიგნიერების ინდექსს** – **MLI** (The Media Literacy Index), რომლითაც განსაზღვრავენ ამა თუ იმ ქვეყნის მოსახლეობის მდგრადობას (რეზისტენტობას) დეზინფორმაციის მიმართ. სხვადასხვა ორგანიზაცია შესაძლოა იყენებდეს განსხვავებულ მეთოდსა და ინდიკატორს მის გამოსათვლელად. ევროპის მასშტაბით, მედიაწიგნიერების ინდექსს ყოველწლიურად იკვლევს ორგანიზაცია „ღია საზოგადოების ინსტიტუტი – სოფია“. მისი შეფასება ეფუძნება ისეთ მაჩვენებლებს, როგორიცაა: პრესის თავისუფლების ინდექსი, ზოგადი განათლების ხარისხი, ხალხის ნდობა მედიის, სამთავრობო თუ არასამთავრობო უწყებების მიმართ, მოსახლეობის ჩართულობის ხარისხი და სხვ. როგორც წესი, სკანდინავიისა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში უფრო მაღალი **MLI** ვლინდება, ვიდრე აღმოსავლეთ ევროპაში.

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21

15. რა არის ავტორის მთავარი მიზანი?

(ა) თანამედროვე მედიის ზეგავლენის ნეგატიური და პოზიტიური მხარეების გაშუქება.

(ბ) თანამედროვე სამყაროში ციფრული მედიის შესაძლებლობებისა და მის გამოყენებასთან დაკავშირებული საფრთხეების წარმოჩენა.

(გ) საინფორმაციო ნაკადში ორიენტაციის სირთულეებისა და მედიაწიგნიერების, როგორც მათთან გამკლავების საშუალების წარმოჩენა.

(დ) მედიაგანათლების მნიშვნელობისა და მედიაწიგნიერების არსის განხილვა.

(ე) ადამიანზე სხვადასხვა მედიასაშუალებით გავრცელებული დეზინფორმაციის გავლენის განხილვა.

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21

16. ჩამოთვლილთაგან რომელი მოსაზრება დასტურდება ტექსტში?

(ა) ინტერნეტმომხმარებელთა ადიქციის სტატისტიკას იკვლევს ორგანიზაცია „ღია საზოგადოების ინსტიტუტი – სოფია“.

(ბ) თანამედროვე ადამიანის პოლიტიკურ ხედვასა და სოციალურ-ეკონომიკურ აქტივობაზე, ძირითადად, გავლენას ახდენს ტელევიზია.

(გ) თანამედროვე საინფორმაციო ველი უაღრესად მრავალფეროვანი და მულტიმედიურია.

(დ) ორგანიზაცია DataReportal იკვლევს მედიაწყაროების ზეგავლენას საზოგადოების პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებაზე.

(ე) დღეს რიგით ადამიანს ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით ისეთივე ზეგავლენა შეუძლია საზოგადოებრივ აზრზე, როგორც მედიაორგანიზაციას.

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21

17. ტექსტის მიხედვით, რომელი ფაქტი არის წარმოდგენილი სწორად?

(ა) ინტერნეტდამოკიდებულება ფსიქიკური აშლილობის ერთ-ერთ ფორმად პირველად ამერიკელმა მკვლევრებმა, ჰოფმანმა და მილერმა, აღიარეს.

(ბ) ციფრული მედიის მომხმარებელს ხშირად უჭირს ხელოვნური ინტელექტისა და ადამიანის მიერ შექმნილი მედიაპროდუქტის ერთმანეთისაგან განსხვავება.

(გ) მასმედიის გავლენის მთავარი ობიექტი და „მსხვერპლი“, ძირითადად, მოსახლეობის მაღალი ასაკობრივი ჯგუფია.

(დ) ასაკის მატებასთან ერთად იზრდება ნდობა ციფრული მედიის მიმართ.

(ე) დღეს ციფრული მედიის მომხმარებელი მსოფლიოს მოსახლეობის ნახევარს არ აღემატება.

18. წარმოდგენილ განმარტებათაგან რომელია მართებული ტექსტის მიხედვით?

(ა) ადიქცია ეწოდება გადამეტებულ ინტერნეტდამოკიდებულებასა და რეალობისაგან მოწყვეტას.

(ბ) ხელოვნურ ინტელექტს უწოდებენ ისეთ ციფრულ ტექნოლოგიას, რომელიც ადამიანზე სწრაფად ქმნის მედიაპროდუქტს.

(გ) მედიაწიგნიერების ინდექსი აღნიშნავს ამა თუ იმ ქვეყნის მოსახლეობის განათლების ხარისხს.

(დ) რეზისტენტობა ნიშნავს მედიის მიერ გავრცელებული დეზინფორმაციის გავლენისაგან აქტიურ თავდაცვას.

(ე) მასმედიის გავლენის „მსხვერპლი“ არის ადამიანი, რომელიც ენდობა მედიის მიერ გავრცელებულ ყალბ ინფორმაციას და/ან ექცევა მანიპულაციის ქვეშ.

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21

19. ჩამოთვლილთაგან რომელი დასკვნა <u>არ გამომდინარეობს</u> ტექსტიდან?

(ა) ციფრული ტექნოლოგიების განვითარებამ ადამიანები ციფრულ მედიაპროდუქტზე დამოკიდებული გახადა.

(ბ) კვლევა მიუთითებს, რომ რაც უფრო დაბალია სოციალური ქსელების მომხმარებელთა ასაკი, მით უფრო მაღალია ინტერნეტადიქციის ალბათობა.

(გ) ყალბი და სწორი ინფორმაციის გარჩევის უნარის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია მედიაგანათლების ხელშეწყობა სასკოლო ასაკიდან.

(დ) სოციალური ქსელების ჭარბი გამოყენება შესაძლოა საზიანო იყოს მენტალური ჯანმრთელობისათვის.

(ე) მსოფლიოს გავლენიანი მედიაორგანიზაციები, მფლობელების ინტერესებიდან გამომდინარე, ძირითადად, დეზინფორმაციას ავრცელებენ.

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21

20. ტექსტის მიხედვით, მედიაწიგნიერების შესახებ გამოთქმულ მოსაზრებათაგან რომელია მართებული?

I. მედიაწიგნიერ ადამიანებს აქვთ დაბალი რეზისტენტობა დეზინფორმაციის მიმართ.
II. მედიაწიგნიერება წარმოადგენს გარკვეული უნარებისა და ცოდნის ნაკრებს.
III. მედიაწიგნიერება ციფრული ეპოქის გამოწვევებთან გამკლავების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია.
IV. სპეციალისტების მიერ შემუშავებულია მედიაწიგნიერების შეფასების ერთიანი, შეთანხმებული მეთოდი.

(ა) მხოლოდ I და II

(ბ) მხოლოდ II და III

(გ) მხოლოდ I, II და III

(დ) მხოლოდ II და IV

(ე) მხოლოდ III და IV

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21

21. ჩამოთვლილთაგან რომელი მოსაზრება <u>არ დასტურდება</u> ტექსტში?

(ა) მედიაწიგნიერების ინდექსს, ძირითადად, განსაზღვრავს პრესის თავისუფლების ხარისხი.

(ბ) ყალბი ინფორმაციის ამოცნობის უნარი და მის მიმართ რეზისტენტობის მაღალი ხარისხი მედიაწიგნიერებაზე მიუთითებს.

(გ) მედიაწიგნიერების დონე ევროპის ქვეყნებში განსხვავებულია.

(დ) ზოგადი განათლების მაღალი ხარისხი ხელს უწყობს მედიაწიგნიერების ამაღლებას.

(ე) ხალხის ნდობა მედიის, სამთავრობო და არასამთავრობო ინსტიტუტების მიმართ მედიაწიგნიერების ინდექსის მნიშვნელოვანი მაჩვენებელია.

ტესტის დასასრული

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21